პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

26 მარტი, სამშაბათი, 1985 წ.
№ 57 (8868) ● ფასი 2 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჭაბუკთა ზამთრის პირველი საკავშირო სპორტული თამაშები

კიროვსკის ტრამპლინის „ბრინჯაო“

ამბოგენ, ჰოლანდიაში ყოველი მეორე ველოსიპედისტია, ბრაზილიაში კი — ფეხბურთელი. თუ ასეა, მაშინ კიროვსკში უმრავლესობამ თავი მოთხილამურედ უნდა ჩათვალოს. მე მომეჩვენა, რომ შორეული მურმანსკის ოლქის ამ ქალაქში (კიროვსკი საბჭოთა კავშირში კიდევ ხუთია) ფეხით თითქმის არავინ დადის, ყოველ შემთხვევაში, ამ დიდი შეჯიბრების დღეს.

არც გაგვკვირვებია, როცა გავიგეთ, რომ თეთრი ღამეებისა და პოლარული დღეების ამ პატარა ქალაქში ექვსი სპორტული სკოლაა (ხუთი — სამთო-სათხილამურო სპორტისაა და ერთი — ტრამპლინიდან ხტომისა). წარმოიდგინეთ, კიროვსკში სპეციალური საბავშვო ბაღიც არის, სადაც 5-6 წლის გოგო-ბიჭები თხილამურებით სრიალს სწავლობენ. ხიბინის თეთრად გადაპენტილი მთები გარს შემორტყმია ქალაქს, რომელსაც უწინ ხიბინოგორსკი ერქვა. სამთომოთხილამურეები სერავენ მის ფერდობებს, შხუილით მოჰქრიან მფრინავი მოთხილამურეები კიროვსკის ხუთივე ტრამპლინიდან.

მათგან, ერთ-ერთი, კერძოდ 50-მეტრიანი ტრამპლინი, იღბლიანი გამოდგა ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკი მხტომელებისთვის. სათხილამურო ცენტრის [illegible] მთაზე შვიდი ათეული მხტომელი შეიკრიბა (1968-70 წლებში დაბადებულნი). მათ შორის ოთხი საქართველოს წარმომადგენელია, — წალვერელი ელგუჯა ორჯონიკიძე, კახა წაქაძე, იბრაგიმ გობოზოვი და ვალერი მინასიანი (სამივე — ბაკურიანი).

— ეს ტრამპლინი სულ ახლახან ჩადგა მწყობრში. ფაქტიურად იგი პირველად მასპინძლობს ოფიციალურ შეჯიბრებას, — გვითხრა ასპარეზობის მთავარმა მსაჯმა ვლადიმერ პეტროვმა და [illegible] დასძინა.

იხ. მე-2 გვ.

თვის საუკეთესო სპორტსმენი

„ლელოს“ მკითხველებს ეხსომებათ, რომ იანვარში ჩვენმა გაზეთმა გახსნა ახალი რუბრიკა — „თვის საუკეთესო სპორტსმენი“. რუბრიკამ მკითხველთა შორის ცხოველი ინტერესი გამოიწვია — რედაქციაში მრავლად მოვიდა სპორტის მოყვარულთა ბარათები არა მარტო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, არამედ აზერბაიჯანიდან, რუსეთის ფედერაციიდან, უკრაინიდან. იანვრის საუკეთესო სპორტსმენად მკითხველთა უმეტესობამ დაასახელა დიდოსტატი ნანა იოსელიანი, თუმცა ერთმა ნაწილმა უპირატესობა ველომრბოლელ ოთარ მჭედლიშვილს მიანიჭა. მკითხველთა ინტერვიუ ლაურეატთან კარგა ხნის წინათ უნდა გამოქვეყნებულიყო, მაგრამ იმის გამო, რომ ნანა თბილისში არ იყო, მასთან შეხვედრა მხოლოდ ახლა მოხერხდა. ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ჩვენც ამ პრინციპით ვიხელმძღვანელეთ და გთავაზობთ ინტერვიუს ნანა იოსელიანთან. მალე თებერვლის ლაურეატსაც გაგაცნობთ. ამასთანავე, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ ბარათები, სადაც დაასახელებთ იმ სპორტსმენს, ვინც მარტის თვის საუკეთესო სპორტსმენის წოდების ღირსად მიგაჩნიათ.

ნანა იოსელიანი

● თუ შეიძლება, გაგვიზიარეთ თქვენი შთაბეჭდილებები იაიცეს ქალთა საერთაშორისო ტურნირის შესახებ?

— ამ ტურნირის გარშემო „ლელოს“ საჭადრაკო დამატება „მერანის“ მე-3 ნომერში ვრცლად ვილაპარაკე. იქვე გავარჩიე ირინა ლევიტინასთან მოგებული პარტიაც.

● როგორ იყავით განწყობილი ლევიტინასთან შეხვედრის წინ და საერთოდ, რას იტყვით მეტოქეზე?

— ალბათ გახსოვთ, ჩვენ ბოლო ტურში შევხვდით ერთმანეთს. ირინა ქულით მისწრებდა და, აქედან გამომდინარე, მეც შეუპოვარი თამაშისთვის განვეწყვე. ასეც მოხდა. რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობას, მასზე პარტიის შედეგს გავლენა არ მოუხდენია და ვერც მოახდენდა. ირინა მეტად კორექტული მოჭადრაკე და კარგი ადამიანია.

● ვინ მიგაჩნიათ ყველაზე „უხერხულ“ მეტოქედ?

— ლიდია სემიონოვა. ყველგან და ყოველთვის მიჭირს მასთან თამაში.

● რამდენად იღბლიანი იყო თქვენთვის შარშანდელი წელი?

— შარშან ბევრი ვითამაშე და საკმაო წარმატებითაც: იანვარში ტალინში გამართულ საკავშირო ტურნირში ელენა ახმილოვსკაიასთან I-II ადგილები გავიყავი, შემდეგ პირველი ვიყავი მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში. ზაფხულში თბილისის ეგრეთ წოდებულ სუპერტურნირში მხოლოდ ნონამ გამისწრო. ამის შემდეგ მეორე ვიყავი რუმინეთის ტურნირშიც და მოულოდნელად, წლის ბოლოს, ქალთა საკავშირო ჩემპიონატში მეექვსე ადგილზე დავრჩი...

● როგორ ემზადებით საზონათშორისო ტურნირისთვის და საერთოდ. როგორია თქვენი მომავალი გეგმები?

— ჯერჯერობით თეორიულად ვემზადები. მინდა ვითამაშო ვაჟთა რომელიმე ტურნირში. რაც შეეხება მომავლის გეგმებს, ჯერ მთავარია საზონათშორისო შეჯიბრებაში გამარჯვება, მერე კი ვნახოთ.

● ვთქვათ, ერთდროულად ტარდება ქალთა და ვაჟთა ტურნირები. ქალთა ტურნირის შემადგენლობა ძლიერია, ვაჟებისა — არც ისე ძლიერი. რომელ შეჯიბრებაში ამჯობინებდით თამაშს?

— რა თქმა უნდა, ქალთა ტურნირში. ქალმა, პირველ ყოვლისა, ჯერ ქალებში უნდა დაამტკიცოს თავისი ძალა. ვაჟთა შეჯიბრებაში მონაწილეობას მხოლოდ წვრთნის ხასიათი უნდა ჰქონდეს.

● იქნებ გაიხსენოთ, რა იყო თქვენი სანუკვარი ოცნება მოწაფეობის დროს?

— ჩემი ყველა ოცნება ჭადრაკთან არის დაკავშირებული, მით უმეტეს, ბავშვობისა. მინდოდა ნონას და ნანას მსგავსად მეთამაშა. ახლაც ამასვე ვფიქრობ.

● თქვენ არაერთ საერთაშორისო ტურნირში მოგიპოვებიათ პირველი ადგილი. რომელი გამარჯვება მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად?

— წარმატება 1980 და 1982 წლების საჭადრაკო ოლიმპიადებში, სადაც მხოლოდ ქართველი ქალები ვიცავდით საბჭოთა კავშირის ღირსებას. ორივე შეჯიბრებაში უძლიერესის სახელი მოვიპოვეთ და ვერა მენჩიკის სახელობის პრიზები დავისაკუთრეთ. გამოვყოფ რიით-

იხ. მე-2 გვ.

თბილისში ჩატარდა საწყლოსნო სახეობებში ევროპის კომიტეტის (ლენა) წყალში ხტომის ტექნიკური სხდომა, რომელშიც მონაწილეობდა ამ კომიტეტის პრეზიდენტი ლამბაშა ანტე.

სხდომის შემდეგ პრეზიდენტმა ჩვენს კორესპონდენტს უთხრა: საწყლოსნო სახეობებში ევროპის ჩემპიონატის დრო და ადგილი თითქოს საბოლოოდ გამოიკვეთა — ეს ასპარეზობა აგვისტოს პირველ რიცხვებში აიღებს სტარტს სოფიაში. გარდა ამისა, ჩვენ ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ, რომ აპრილის შუა რიცხვებში ციურიხში ჩატარდეს ევროპის თასის გათამაშება. ივლისის ბოლოს ჟენევაში მოეწყობა ევროპის ჩემპიონატი იუნიორთა შორის. 1986 წლის მარტში კი შვეციაში ევროპის თასი გათამაშდება. თბილისში ჩვენ განვიხილეთ კიდევ რამდენიმე საკითხი, რაც დაკავშირებულია ასპარეზობის წესებში ფინა-ს მიერ შეტანილ ცვლილებებთან.

თბილისში პირველად არა ვარ. ბოლოს აქ ვიყავი 1979 წლის მაისში, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე გამართულ ტურნირზე. ძალიან მომწონს თქვენი აუზი. თავის დროზე ვმეგობრობდი ნოდარ გვახარიასთან, ზურაბ ჩაჩავასთან, პეტრე მშვენიერაძესთან... ახლაც ყურადღებით ვადევნებ თვალს სპორტის დამსახურებული ოსტატის მიხეილ გიორგაძის გამოსვლებს. მის თამაშს ალბათ სოფიაშიც ვნახავ, ევროპის ჩემპიონატზე. მიხეილ გიორგაძე ხომ საბჭოთა ნაკრების წევრია. ეს გუნდი ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში. თუმცა ახლა მას მეტად მძიმე ბრძოლა ელის — იტალიის, იუგოსლავიის, გფრ-ისა და სხვა ქვეყნების წყალბურთელთა ოსტატობა საგრძნობლად ამაღლდა.

პირველად თბილისში

ამ დღეებში თბილისი პირველად მასპინძლობს მხატვრულ ტანვარჯიშში საბჭოთა კავშირის პირველობას განათლების სამინისტროს სპორტსკოლებს შორის.

წლევანდელმა პირველობამ თხუთმეტ გუნდს მოუყარა თავი (ვერ ჩამოვიდნენ ყაზახეთისა და ტაჯიკეთის წარმომადგენლები, ხოლო ლენინგრადის ნაკრები უკონკურსოდ ასპარეზობს).

საქართველოს ნაკრები მხატვრული ტანვარჯიშის ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სკოლის აღსაზრდელებით არის დაკომპლექტებული. გუნდში არიან ევგენია შირინკინა, ვიქტორია ავჯიშვილი, ელზა აირაპეტიანი, ლიდია იაცენკო, ელისო ბედოშვილი და ვერა ყიფიანი. კონკურსგარეშე გამოდიან ფიქრია ფანქველაშვილი და ხათუნა გოგლიძე.

— მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრებაზე არ ჩამოვიდა რამდენიმე ძლიერი ტანმოვარჯიშე — ისინი ჯგუფურ ვარჯიშში საბჭოთა კავშირის პირველობისთვის ემზადებიან — საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა მაინც უშეღავათო იქნება.

— თქვა ასპარეზობის მთავარმა მსაჯმა, საკავშირო კატეგორიის არბიტრმა **ვალენტინა ივანიცკაიამ**. — ოთხი სახეობის მიხედვით კარგი შედეგები აქვთ უფროს ასაკში თქვენს შირინკინას და უმცროს ასაკში — ბედოშვილს. თუ ისინი ასევე კარგად შეასრულებენ ვარჯიშებს ლენტით და გურზებით, დარწმუნებული ვარ, საპრიზო სამეულშიც მოხვდებიან. მადლობელი ვართ ორგანიზატორების, ვინც ასე მაღალ დონეზე მოაწყო შეჯიბრება. გოგონები ვარჯიშობენ ორ მოედანზე, რაც მხოლოდ დიდი ასპარეზობებისთვის არის დამახასიათებელი. ყველაზე მთავარი კი არის სასიამოვნო ტრადიცია, რომელიც ყოველთვის ახლავს ამგვარ შეჯიბრებებს — იგი ახალ, საინტერესო სახელებს გვპირდება. ვფიქრობ ეს „კანონზომიერება“ არც ამჯერად დაირღვევა.

ვერა ყიფიანი.

ასპარეზობის მეორე დღეს გოგონები სახტუნაოთი და ბურთით ვარჯიშში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ფავორიტებმა — ევგენია შირინკინამ და ელისო ბედოშვილმა შესაბამისად 9,35, 9,5 და 9,1, 9,2 ქულა დაიმსახურეს.

ელვა-ინფორმაცია

გუშინ [illegible] დასრულდა გუნდური პირველობა. თბილისის ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკურმა სპორტულმა სკოლამ (დირექტორი როზა [illegible]) I ადგილი დაიკავა.

ელვა-ინფორმაცია

ქართველ ფალავანთა წარმატება

პოტსდამი. ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირში გამარჯვება მოიპოვა ქართველმა ფალავანმა **თამაზ ნამგალაურმა** (71 კგ). ამავე წონაში მესამე პრიზიორი გახდა **რამაზ [illegible]**. იგი ნაკრების მწვრთნელებს ვარჯიშის მიზნით გამოჰყავთ მაღალ კატეგორიაში.

პარიზი. საფრანგეთის დედაქალაქში გამართულ კლასიკური სტილით მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა **ზაურ [illegible]** ([illegible] კგ).

ზეიმი ყინულზე

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში იწყება უკრაინის მხატვრულ-სპორტული სახელმწიფო ანსამბლის „ყინულზე ბალეტის“ გასტროლები. სტუმრები პირველ შეხვედრაზე თბილისელ მაყურებლებს შესთავაზებენ პრემიერას „ჩვენ უკრაინიდან ვართ“.

ანსამბლის კოლექტივი ეს უკვე მესამედ ეწვია თბილისს. უკანასკნელად იგი საქართველოს დედაქალაქში 1976 წელს იყო.

„ყინულზე ბალეტის“ პირველი სპექტაკლი 25 წლის წინ შედგა კიევში. ამ ხნის მანძილზე ანსამბლმა მთელი საბჭოთა კავშირი შემოიარა, იყო საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში.

ანსამბლის კოლექტივი ახალგაზრდულია — მისი წევრების საშუალო ასაკი 19-21 წელია. ანსამბლთან შექმნილია მუდმივად მოქმედი სტუდია, სადაც 14-16 წლიდან იღებენ გოგონებსა და ვაჟებს. ამგვარად, კოლექტივში თაობათა ცვლა შეუმჩნევლად ხდება.

კოლექტივში მოდიან სპორტსმენები, რომლებმაც დიდი სპორტი დატოვეს. მაგალითად, ანსამბლის წევრები არიან საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გალინა გრიშდოვსკაია, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები, უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი ანატოლი ევდოკიმოვი, ვლადიმერ ბოგოლიუბოვი, ბორის უსპენსკი, ირინა ჩერკასოვა, სპორტის ოსტატები, უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი სერგეი ორეხოვი, ლიუდმილა ორეხოვა, ეკატერინა ვიზენტალი, ვლადიმერ ზახაროვი, ვიაჩესლავ [illegible].

ანსამბლი მოუთმენლად ელის მომთხოვნ თბილისელ მაყურებელთა შეხვედრას.

თვის საუკეთესო სპორტსმენი

ნანა იოსელიანი

(დასასრული)

დე-ჟანეიროს საზონათშორისო ტურნირსაც, რომელიც 1979 წელს ჩატარდა. მე მაშინ პირველად მივიღე მონაწილეობა დედოფლის ტახტისთვის ბრძოლაში. თუ ტრაბახში არ ჩამომართმევთ, ეს იყო მსოფლიოში პირველი შემთხვევა, როცა ასეთი დონის შეჯიბრებაში მოჭადრაკემ ზედიზედ თორმეტი პარტია მოიგო. საბოლოოდ ამ ტურნირში პირველობა მოვიპოვე.

● იქნებიან თუ არა პია კრამლინგი და ჟუჟა პოლგარი ქართველ მოჭადრაკე ქალთა უპირველესი მოცილენი დაფნის გვირგვინისთვის ბრძოლაში?

— კრამლინგიცა და პოლგარიც ძლიერი მოჭადრაკეები არიან, მაგრამ ლევიტინაზე წინ მათ ჯერ ვერ დავაყენებ. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ პოლგარი ამ ციკლში არ მონაწილეობს.

● როგორ გგონიათ, დაგვიბრუნდება თუ არა „ქართული ფინალი“?

— მე მგონი, ამისთვის ყველა ქართველი მოჭადრაკე იბრძვის.

● რას იტყვით კარპოვ-კასპაროვის მატჩის თაობაზე?

— ამ შეხვედრაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. ამიტომ, რათა სხვების ნათქვამი არ გავიმეორო, მხოლოდ ამას ვიტყვი: მიუხედავად იმისა, რომ ჭადრაკს სიტყვა „რეკორდი“ არ უხდება, ეს მართლაც ყოველმხრივ სარეკორდო და უნიკალური მატჩი იყო.

● ფიდე-ს პრეზიდენტის, კამპომანესის გადაწყვეტილებაზე რას იტყვით?

— ძნელია კამპომანესს დაეთანხმო, ჩემი აზრით, ფიდე-ს პრეზიდენტს მატჩის შეწყვეტის უფლება არ ჰქონდა.

● ვინ მიგაჩნიათ მსოფლიოს ყველა დროის უძლიერეს მოჭადრაკედ ვაჟთა შორის?

— ძალიან ძნელია ვინმე გამოვყო. ის კი არა, ათეულის დასახელებაც მიმძიმს. განუმეორებლები არიან ალიოხინი, კაპაბლანკა... მაგრამ მაინც, ალბათ, ფიშერი.

● იქნებოდა თუ არა დღეს ფიშერი მსოფლიოს ჩემპიონი, ჭადრაკისთვის რომ თავი არ დაენებებინა?

— ალბათ.

● და, ბოლო შეკითხვაც: რას უსურვებდით ქართულ ჭადრაკს და მის გულშემატკივრებს?

— უპირველეს ყოვლისა, დიდ მადლობას მოვახსენებ ჩემს ქომაგებს, რომლებმაც იანვრის საუკეთესო სპორტსმენად დამასახელეს. ქართულ ჭადრაკს კი ხანგრძლივი დიდება მინდა ვუსურვო.

საუბარი ჩაიწერა
დავით ჭელიძემ.

P. S. დიდოსტატს წერილები გამოუგზავნეს ზუგდიდელმა თემურ წურწუმიამ, კასპის რაიონის სოფელ ქვემო ხანდაკის მკვიდრმა ნოდარ მამულაშვილმა, ჭიათურელმა ხათუნა ჯაოშვილმა, რუსთაველმა მაია ჯამალაშვილმა, გეგეჭკორის რაიონის სოფელ მეორე ბალდაში მცხოვრებმა ლეილა წულაიამ, იმავე რაიონის სოფელ ვედიდკარის მკვიდრმა სოსო ფაციამ, ხობის რაიონის სოფელ ქვემო ქვალონიდან ლერი ხელაიამ, სიღნაღის რაიონის სოფელ ძველ ანაგაში მცხოვრებმა ლაურა ლვედაშვილმა, ქუთაისელმა ზურაბ ძაგნიძემ, თბილისელებმა რუსუდან ბურჯანაძემ, მანანა ჩიქვანაიამ, თემურ ნებიერიძემ, ნოდარ ბესალაშვილმა და სხვ.

ჭაბუკთა პირველი რესპუბლიკური თამაშები

რთული ამოცანის წინაშე

თამაში საინტერესოდ დაიწყო. პირველ ხუთ ქულამდე ანგარიში საყაიმო იყო. გამახსენდა სამხრეთ ოსეთისა და სამტრედიის გუნდების მატჩი საქართველოს შარშანდელი პირველობიდან. მაშინ სამტრედიელმა გოგონებმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს მეტოქე და მესამე ადგილი დაიკავეს. „შეძლებენ კი სამხრეთ ოსეთის ფრენბურთელები თავიანთი უფროსი კოლეგების დამარცხებისათვის რევანშის აღებას?“ — ვფიქრობდი სოხუმის სპორტსკოლის დარბაზში, სადაც ჭაბუკთა პირველი რესპუბლიკური თამაშების პროგრამით მესამე ადგილისთვის ერთმანეთს ხვდებოდნენ სამხრეთ ოსეთისა და სამტრედიის ფრენბურთელ გოგონათა გუნდები. მართალია, თამაში გარდამავალი უპირატესობით დაიწყო, მაგრამ რევანში მაინც შედგა. სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა ნელ-ნელა გატეხეს მეტოქის წინააღმდეგობა, სამი პარტია მოიგეს, მესამე ადგილი დაიკავეს და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს. ამ შეხვედრამდე კი ორივე გუნდს ქვეჯგუფებში რამდენიმე მეტოქის დამარცხება მოუხდა.

სამტრედიელი ფრენბურთელები პირველ ქვეჯგუფში ასპარეზობდნენ. აქ მათთან ერთად გამოდიოდნენ თბილისის, აჭარის, რუსთავის, გორისა და ბოლნისის წარმომადგენლები. ყველასთვის მოულოდნელად, სამტრედიელებმა შეჯიბრების ფავორიტის, თბილისის გუნდის გარდა, ყველა მეტოქე დაამარცხეს და პირველი ადგილისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს.

სამხრეთ ოსეთის ფრენბურთელებმა ფარ-ხმალი დააყრევინეს ქუთაისის, ლაგოდეხის და ზუგდიდის გუნდებს. მათ ქვეჯგუფში სულ ხუთი კოლექტივი გამოდიოდა (თელავის გუნდი საასპარეზოდ არ ჩამოვიდა) და ოთხი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი დათმეს — — აფხაზეთის ნაკრებთან.

ქვეჯგუფში, როგორც მოსალოდნელი იყო, წინასწარი თამაშები დაუმარცხებლად განვლეს და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს თბილისისა და აფხაზეთის გუნდებმა. საიდუმლო არ არის, რომ რესპუბლიკის გოგონათა ნაკრები გუნდის დასაყრდენს თბილისელი ფრენბურთელები შეადგენენ (ნატალია სალნიკოვა, დარეჯან სინჯიკაშვილი, ელენა თოფჩიანი, ნინა ოსიპოვა, ნინო მეტრეველი, ლიუდმილა ტარანი, ნატალია რაჟვა, ვიქტორია შკურატოვა, ხათუნა გიორგაძე, ირინა ტერიხოვა, ალიონა კრუჩკოვა, ასია სააკიანი, გუნდის უფროსი მწვრთნელი — ვასილ ტკაჩენკო, მწვრთნელი — პეტრე კაზიცკი), აფხაზეთის გუნდში კი რესპუბლიკის ნაკრების ერთადერთი წევრი გამოდიოდა (ელა გერაშჩენკო). ამან, რა თქმა უნდა, თავისებური დაღი დაასვა ფინალურ თამაშს. თბილისელმა ფრენბურთელებმა აშკარად დაჯაბნეს თანატოლები, შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 3:0 (15:8, 15:4, 15:1) და ჩემპიონებიც გახდნენ.



აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მოასპარეზე გუნდები, გარდა თბილისელებისა, სუსტად იყვნენ მომზადებული. ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ დედაქალაქის წარმომადგენლებმა ქვეჯგუფში იოლად დაამარცხეს აჭარის (15:2, 15:1), სამტრედიის (15:2, 15:0), რუსთავისა (15:1, 15:1) და გორის (15:2, 15:0) გუნდები.

გვესაუბრება შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ედუარდ ხანთელაძე:

— ამ შეჯიბრებამ კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაგვანახვა რესპუბლიკაში ქალთა ფრენბურთის სავალალო მდგომარეობა. ფინალურ ჯგუფში მონაწილეთა უმრავლესობა იმდენად სუსტი იყო, მოთამაშენი ხშირად მიწოდებული ბურთის აღებასაც ვერ ახერხებდნენ. განსაკუთრებით უჭირდათ რუსთაველებს, რომლებმაც ყველა შეხვედრა მშრალი ანგარიშით წააგეს. არადა, ისინი პირდაპირ დაუშვეს ფინალურ თამაშებზე. ვფიქრობთ, მომავლისთვის უნდა გადაისინჯოს შეჯიბრების ეს სისტემა. ჩვენი აზრით, ჯობს ფინალის საგზურისთვის ყველა გუნდმა მონაწილეობა მიიღოს ქვეჯგუფში გამართულ წინასწარ თამაშებში, ზონების მიხედვით (ასეთი ზონა ოთხი მაინც უნდა შეიქმნას). ამგვარი სისტემით შეჯიბრება გაზრდის გუნდების პასუხისმგებლობას და ფრენბურთელებიც მეტ გამოცდილებას შეიძენენ.

დღევანდელი თამაშების მონაწილეთა უმრავლესობას მოსწავლეთა მომავალ საკავშირო სპარტაკიადაში გამოსვლის საშუალება ექნება, მაგრამ ასეთი ფიზიკური და ტექნიკური მომზადებით, ცხადია, ბევრს ვერაფერს მიაღწევენ.

— რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში მოსახვედრად ჯანსაღი კონკურენცია თუ არ შეიქმნა, წარმატების მოპოვება ძალიან გაგვიჭირდება. — ჩაერია საუბარში გოგონათა რესპუბლიკური ნაკრების უფროსი მწვრთნელი **ვასილ ტკაჩენკო**, რომელიც გუნდს ჭაბუკთა პირველი საკავშირო თამაშებისთვის ამზადებს. — ამასთან საჭიროა გვყავდეს რამდენიმე ტოლძალოვანი კოლექტივი, თორემ მთავარ გუნდს რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე სპარინგ-პარტნიორობასაც ვერავინ უწევს.

● ივლისში ჩვენს გოგონებს ტულაში ასპარეზობა მოუწევთ ბელორუსიის, თურქმენეთის, მოსკოვისა და ტაჯიკეთის ფრენბურთელებთან. როგორ ემზადებით ამ შეხვედრებისთვის?

— ნაკრებში ძირითადად თბილისელები არიან. ამ შეჯიბრებაზე პერიფერიებიდან ოთხი კანდიდატი შევარჩიეთ: სამტრედიიდან — ნინო მჭედლიშვილი, აფხაზეთიდან — ელა გერაშჩენკო, სამხრეთ ოსეთიდან — მარინა კოჩიევა და ვიოლეტა ტუაევა. პირველი საკავშირო თამაშებისთვის მზადებას კარგა ხანია შევუდექით. მარტის პირველ ნახევარში ვითამაშეთ ვოროშილოვგრადის ტურნირში „მეგობრობა-85“, სადაც ცხრა გუნდს შორის პირველი ადგილი დავიკავეთ. დაგეგმილი გვაქვს კიდევ რამდენიმე მსგავს ასპარეზობაში მონაწილეობა. ვეცდებით მთავარი თამაშებისთვის კარგ ფორმაში ვიყოთ და ტოლი არ დავუდოთ ქვეჯგუფის მონაწილე გუნდებს, თუმცა ეს ერთობ ძნელი იქნება.

ვაჟა დანელია.
(„ლელოს“ სპეც. კორ.).
სოხუმი.

რესპუბლიკური თამაშების ჩემპიონი თბილისის ქალთა გუნდი.

ავტორის ფოტოები.

(დასასრული)

— აი, მის გვერდით მდებარე, დიდ, 90-მეტრიან ტრამპლინზე კი თქვენმა კობა წაქაძემ თავის დროზე სარეკორდო ნახტომი შეასრულა. დღესაც კარგად მახსოვს მისი შედეგი — 104 მეტრი. ალბათ ორი ათეული წელი მაინც არის გასული მას შემდეგ...

ახლა კიროვსკის ტრამპლინიდან კობას ვაჟი, 16 წლის კახა ხტება. მართალია, უმცროს წაქაძეს ჯერ მამისეული ოსტატობა არა აქვს, მაგრამ ჩვენს გუნდს 11 ჩასათვლელი ქულა მაინც მოუტანა.

დღის ერთ-ერთი გმირი იყო ბაკურიანელი იბრაგიმ გობოზოვი. მან ორი ჩინებული ნახტომი შეასრულა (60,5 და 61,5 მ), 213,4 ქულა დააგროვა და პირველი საკავშირო თამაშების ბრინჯაოს ჟეტონი დაიმსახურა. გობოზოვმა, რომელსაც ზელიმხან თვაური ავარჯიშებს, ჩვენს გუნდს 30 ქულა მოუტანა. ელგუჯა ორჯონიკიძესთან და კახა წაქაძესთან ერთად იგი საკავშირო ახალგაზრდულ ნაკრებში შეიყვანეს.

ბოლოს დავუმატებთ, რომ ამ დაძაბულ ასპარეზობაში პირველ ადგილზე გავიდა მიხეილ ესინი (გორკი). მისი შედეგია 219,1 ქულა (ნახტომები — 61,5 და 62 მ).

— ცხრა წელიწადია ამ სახეობაში გამოვდივარ და ასეთი მღელვარება არასოდეს განმიცდია. — სიხარულს ვერ ფარავს იბრაგიმ გობოზოვი. — წინასწარი ხტომისას მხოლოდ 56 მეტრი დავფარე. გავბრაზდი ჩემ თავზე და...

ვერც ელგუჯა ორჯონიკიძეს დავემდურებით, რომელმაც ორივეჯერ 60,5 მეტრი გადალახა. თუმცა, პირდაპირ უნდა ითქვას, მისგან მეტს მოველოდით. საბოლოოდ იგი მეექვსე ადგილზე გავიდა და 25 ქულა მოუტანა გუნდს.

საქართველოს ნაკრების მეოთხე წევრის ვალერი მინასიანის შედეგია 163,8 ქულა (51,54 მ). მან ჩასათვლელი ქულები ვერ შესძინა კოლექტივს.

მხტომელთა პირველი დღის სტარტის შემდეგ გუნდურ ტურნირს ქალაქ გორკის ნაკრები ლიდერობს — 112 ქულა. 13 კოლექტივს შორის საქართველოს ნაკრები საპატიო მეორე ადგილზეა (66 ქულა), ყაზახეთი — მესამეზე (64). ხუთეულში არიან ლენინგრადისა (60) და რუსეთის ფედერაციის (53) გუნდები.

ახლა მხტომელთა ტურნირში უფროსი ასაკის ჭაბუკები (1966-67 წლებში დაბადებულები) ჩაებმებიან. ისინი 70-მეტრიან ტრამპლინზე იასპარეზებენ. ჩვენი გუნდის ღირსებას დაიცავენ ბაკურიანელი ვალერი იარემოვი და დავით დიაკონაშვილი. კონკურსგარეშე იასპარეზებენ გობოზოვი და ორჯონიკიძე. დებულების თანახმად, ეს უფლება მათ მიეცათ, როგორც პირველ ათეულში გასულ სპორტსმენებს.

რა დასამალია, საბჭოთა სამთომთხილამურეები (მათ შორის, სამწუხაროდ, საქართველოს წარმომადგენლებიც) განსაკუთრებული წარმატებებით ვერ დაიტრაბახებენ. იქნებ კიროვსკის შეჯიბრების შემდეგ მაინც დაიძრას ყინული.

დაახლოებით ასეთი სიტყვებით მიმართეს ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონებმა ალექსანდრე ფილატოვმა, ნადეჟდა და ვლადიმერ ანდრეევებმა საწარმოო გაერთიანება „აპატიტის“ კულტურის სასახლეში გამართულ შეხვედრაზე ახალგაზრდა მოთხილამურეებს. უნდა ითქვას, რომ შეჯიბრება ზამთრის სპორტის ამ სახეობაში ჯერჯერობით საქართველოს მოთხილამურეთათვის სახარბიელოდ ვერ მიმდინარეობს. პირველი სტარტი სწრაფდაშვებაში მოეწყო. სხვათა შორის, ერთი დღის დაგვიანებით, რადგან ტრასა არ იყო სათანადოდ მომზადებული. ასეა თუ ისე, გამარჯვებულთა და პრიზიორთა შორის კი არა, მეტწილად პირველ სამ ათეულშიც კი ვერ ვხედავთ ჩვენს სპორტსმენებს. სასიამოვნო გამონაკლისი იყო გურამ ასათიანი (განათლების სამინისტრო). რთული ტრასა (სიგრძე 1800 მ, სიმაღლეთა სხვაობა 490 მ, 22 კარი) მან 70,66 წამში გაიარა და მეთერთმეტე შედეგი აჩვენა. დავით ოგანეზოვი 35-ე იყო, მალხაზ უდესიანი — 46-ე. უფროს ასაკობრივ ჯგუფში გიორგი გაჩეჩილაძე 29-ე ადგილზე გავიდა, აშოტ პაპიკიანი — მე-40-ზე. გია ხაზარაძე შეჯიბრებას გამოეთიშა. უკეთესი მდგომარეობა არც გოგონათა შორის იყო. ნატო გეგუჩაძე 32-ე იყო, ლეილა ზერაკიძე 34-ე, ეკა უშხვანი — 36-ე.

კიროვსკის ტრამპლინის „ბრინჯაო“

გოგონათა გიგანტურ სლალომში (ტრასის სიგრძე 1100 მ, სიმაღლეთა სხვაობა 280 მ, 39 კარი) ნატო გეგუჩაძემ კვლავ 31-ე შედეგი აჩვენა. ეს იყო და ეს.

— რა თქმა უნდა, ჩვენი სამთომოთხილამურეების შედეგით კმაყოფილნი ვერ ვიქნებით, — გვეუბნება გუნდის უფროსი მწვრთნელი ლეონიდ ბანდური, — მაგრამ სწრაფდაშვებაში შედეგები ძალიან მჭიდრო იყო. ასათიანმა მეშვიდე ადგილზე გასულ კამჩატკელ ვიქტორ ბოგუნთან მხოლოდ 5 მეათედი წამი წააგო. დიდ იმედებს ვამყარებდით გამოცდილ გიორგი ხაზარაძეზე, მაგრამ მესამე კარის გავლის დროს სამაგრმა უმტყუნა. სტარტზე ხელი მოეცარა მის მეგობარს გიორგი გაჩეჩილაძეს. მერე გიორგი ბევრს ეცადა მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ გვიანღა იყო. ტრავმირებული თეზი ჯაფარიძის ნაცვლად ბოლო წამს აშოტ პაპიკიანი დავაყენეთ. იგი ფაქტიურად პირველად გამოდიოდა სწრაფდაშვებაში. ხელი შეგვიშალა ტრასების უხარისხობამაც. რა დასამალია, ჩვენს ბიჭებს თვითონვე უხდებოდათ ტრასის მომზადება.

პრესცენტრში მივიღეთ ცნობები მურმანსკიდანაც, სადაც მრბოლელები ეჯიბრებიან ერთმანეთს. სამწუხაროდ, წარმატებას ვერც იქ მივაღწიეთ. 5 კმ-ზე მოასპარეზე გოგონებში მესტიელი ლია შერვაშიძე 26-ე იყო და გუნდს 5 ქულა მოუტანა. 15 კმ-იან დისტანციაზე ჭაბუკთა შორის გია ქუმარიტაშვილი 46-ე ადგილზე დარჩა. ჩვენი გუნდის დანარჩენ წევრებს კიდევ უფრო მოეცარათ ხელი. ამანათრბენში 3X10 კმ-ზე ჩვენ ჭაბუკებს ორივე ასაკობრივ ჯგუფში 17-17 გუნდს შორის მე-14 ადგილები ხვდათ. უმცროსი ასაკის გოგონებმა 3X5 კმ-ზე რბოლა მე-15 შედეგით დაამთავრეს.

ოთარ ნოზაძე,
(ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.).
კიროვსკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ კუხიანიძე



ასეთ კაცზე იტყვიან ხოლმე, საინტერესო ცხოვრება განვლო, ცხოვრება ნამდვილი ადამიანისა და მოღვაწისაო. კვალიც ღრმა დატოვა ცხოვრებაში, კვალი, რომელსაც უსიტყვოდ გაჰყვებიან თაობები.

იყო სპორტსმენი, მწვრთნელი, აღმზრდელი — ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, ვინაიდან ქვეყნად კარგი სპორტსმენიც ბევრია და მწვრთნელ-აღმზრდელიც. იყო ერის, ხალხის მოამაგე — ეს უკვე დიდი კაცობის ნიშანია. ის, ვინც საზოგადოებრიობის პრინციპებს თავის ცხოვრებაზე მაღლა აყენებს, კეთილი მოგონებისა და ხსოვნის ღირსია. ვახტანგ კუხიანიძის სხივნათელი სახე ქართული სპორტის ყველა ქომაგისათვის მისი წასვლის შემდეგ ერთადერთი ნუგეშია.

თუ სპორტსმენი მდიდარი და საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს, იგი უსათუოდ იმსახურებს თაობების სიყვარულსა და პატივისცემას. 30-იანი წლების მიწურულს ვახტანგ კუხიანიძე აქტიური სპორტსმენი იყო და, როგორც ღირსეულთა შორის ღირსეული, სპორტის ოსტატი გახდა. მაშინ სპორტის ოსტატობას გამორჩეული წარმატებებისთვის იძლეოდნენ.

50-იანი წლების დასაწყისში სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭეს. მაშინ ესეც საგანგებო აღიარებას ნიშნავდა. იმავე წლების მიწურულს საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გახდა. ამ წოდებას მაშინაც და ახლაც ჩემპიონთა აღზრდისათვის ანიჭებდნენ. ვახტანგ კუხიანიძეს ასეთი დამსახურებაც ჰქონდა. 60-იანი წლების დამდეგს კიდევ ერთი საპატიო და განმასხვავებელი ნიშანი გადაეცა — საერთაშორისო კატეგორიის არბიტრისა. მერე კი ხანგრძლივი სპორტული მოღვაწეობის აღსანიშნავად საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა. ეს იყო მისი ცხოვრების ლოგიკური გვირგვინი.

ასეთ კაცზე ამბობენ ხოლმე, წუთისოფლიდან ვალმოხდილი წავიდაო.

მოღვაწე იგი ბუნებით, თავისი ცხოვრების წესით იყო. მაგრამ სანამ მოღვაწე გახდებოდა, სანამ ქართული სპორტის უღელში საბოლოოდ შეებმებოდა, ჩვეულებრივი სპორტსმენის ცხოვრებით იცხოვრა.

დაიბადა თბილისში, არსენალის ძველ უბანში. სწავლობდა ქიმიურ-საფეიქრო ტექნიკუმში. ერთხელ ქუთაისში გაგზავნეს პრაქტიკაზე, სადაც ცნობილ ძალოსანსა და სპორტის დიდ მოამაგეს გიორგი ქავთარაძეს დაუახლოვდა. იქვე გაიცნო შალვა ჩიხლაძე, მაშინ ახალგაზრდა მოჭიდავე, რომლის ცხოვრებაშიც, შემდგომ დიდი როლი ითამაშა.

კუხიანიძეების მოდგმას ქუთაისში ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქვარიანების ოჯახთან. სხვათა შორის, ცნობილი მოჭიდავე და ძალოსანი კოლია ქვარიანი თბილისში პირველად ვახტანგ კუხიანიძის მამამ მელიტონმა ჩამოიყვანა. საცირკო ჭიდაობა პატარა ვახტანგმა სწორედ კოლია ქვარიანის წყალობით ნახა. მისივე ხათრითა და წაბაძვით დაიწყო ჭიდაობა პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე „პიშჩევიკის" დარბაზის ერთ-ერთ სპორტულ სექციაში, რომელსაც ახირებული, მაგრამ სამართლიანი მწვრთნელი გარეგინ არუთინოვი ხელმძღვანელობდა.

ვახტანგ კუხიანიძის დაუდეგარი ხასიათი ვერ შეეგუა სექციის აკადემიურ სტილს, იქ გამეფებულ დოგმატურ წესებს. გარეგინ არუთინოვი მთავარ ყურადღებას ნორჩ სპორტსმენთა ფიზიკურ მომზადებას უთმობდა, ვახტანგს კი ჭიდაობის სწავლა სურდა, იმ ილეთების დაუფლება, რომლებსაც წარმატებით იყენებდა კოლია ქვარიანი საჩვენებელ შეხვედრებსა და ოფიციალურ ტურნირებში. ამიტომ სექციას სულ მალე მიანება თავი, სადაც რუსულ ენაზე გამოცემული სახელმძღვანელო იშოვა და დამოუკიდებლად დაიწყო ვარჯიში.

ამიერკავკასიის ინდუსტრიულ ინსტიტუტში რომ შევიდა, უკვე ცნობილი მოჭიდავე იყო, „დინამოში" პეტრე დენისოვთან ერთად ვარჯიშობდა. მერე მცირე ხნით მოსკოვს გადავიდა საცხოვრებლად და სწავლა ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის სპორტულ-ტექნიკურ ფაკულტეტზე განაგრძო. იქ ჩამოყალიბდა, როგორც ფიზკულტურის დარგის სპეციალისტი, მწვრთნელი, აღმზრდელი, რომელიც ღრმა თეორიულ ცოდნას უნარიანად უხამებდა პრაქტიკოსი მოჭიდავის საქმიანობას.

თბილისში დაბრუნებულმა ახალგაზრდა სპეციალისტმა მუშაობა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში განაგრძო. აქ უკვე დიდი და ნაყოფიერი საქმიანობა იყო გაჩაღებული ეროვნული კადრების მოსამზადებლად. ეს გახლდათ საყოველთაო ენთუზიაზმის, ფიზკულტურული მოძრაობის ახალი მძლავრი აღმავლობის პერიოდი. ახალგაზრდობას დარბაზები არ ჰქონდა, არ იყო ფორმები, ინვენტარი. სამაგიეროდ, იყო წრესგადასული მონდომება, დიდი ეროვნული ხალისი, ისევ და ისევ ენთუზიაზმი. იყო ამავე დროს, დაუოკებელი სურვილი მანამდე უცნობი და უხილავი მწვერვალების დაპყრობისა. ამ მძლავრ ნაკადში ვახტანგ კუხიანიძემ ქართული სპორტის სხვა მოამაგეებთან ერთად მოწინავე პოზიცია დაიკავა.

წლების მანძილზე რუდუნებით დაგროვილი გამოცდილებისა და ცოდნის პრაქტიკული გამოყენება მოგვიანებით დაიწყო, 50-იანი წლების დამდეგს, როცა ჭიდაობის საქვეყნოდ აღიარებულ სპეციალისტს საბჭოთა კავშირის ნაკრები ჩააბარეს. იგი მთელი ხუთი წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის მთავარ გუნდთან ერთად სჭედდა იმ დიდ და სახელოვან წარმატებებს, რომლებმაც ჭიდაობის საბჭოურ სკოლას საქვეყნოდ გაუთქვა სახელი. კუხიანიძისეული სტრატეგიის ნამდვილი გამარჯვება იყო საბჭოთა მოჭიდავეთა პირველი წარმატებები ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატების სარბიელზე. ამ წარმატებებით იგი მუდამ ამაყობდა.

ვახტანგ კუხიანიძეს მწვრთნელის მახვილი თვალი და ნამდვილი აღმზრდელის გუმანი ჰქონდა. სწორედ ამ თვისებების წყალობით დაიკავა მან გამორჩეული ადგილი ქართული სპორტის ისტორიაში. ვახტანგ კუხიანიძის მოწაფეთა თანავარსკვლავედი მსოფლიოს ნებისმიერ ნაკრებს დაამშვენებდა. იმიტომ, რომ მის აღზრდილთა შორის იყვნენ:

შალვა ჩიხლაძე — საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და ჰელსინკის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი კლასიკურ ჭიდაობაში...

ვალარშაკ მაჩკალიანი — ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში (ვახტანგმა მას სოხუმში დაადგა თვალი და მანამ არ მოისვენა, სანამ თბილისში არ ჩამოიყვანა)...

თვით არსენ მეკოკიშვილი — საბჭოთა კავშირის თექვსმეტგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ცოცხალი ლეგენდა, მოჭიდავე — რკინის კაცი, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია მსოფლიო ჭიდაობის ისტორიის ბევრი სასახელო ფურცელი...

და კიდევ იმიტომ, რომ მის აღზრდილთა შორის იყვნენ და არიან: გიორგი როსტიაშვილი, შოთა დაუშვილი, ესტატე ქარქუსაშვილი, ოთარ კანდელაკი, ნიკოლოზ მუზაშვილი, სერგო გაბარაევი, ოთარ შინჯიკაშვილი. ეს მართლაც ჩვენი ჭიდაობის ოქროს ხანა იყო.

კაცი რომ ვალმოხდილი ტოვებს წუთისოფელს, რა გასაკვირია: სურვილი გეუფლება მოწიწებით დახარო თავი მის წინაშე. ვახტანგ კუხიანიძის ნათელი და დაუვიწყარი ხსოვნა მისივე ცხოვრების, მისი საქმის, მისი სახელის ლოგიკური გაგრძელებაა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი.

ჭიდაობის ყველა სახეობის ფედერაციები.

მწვრთნელი და მეგობარი

სიჭაბუკის წლებში, როცა არჩევნის წინაშე დგახარ, უთუოდ გჭირდება კაცი, გვერდში რომ დაგიდგება, მოწოდებას გაპოვნინებს და ცხოვრების გზაზე დაგაყენებს. ჩემთვის სწორედ ასეთი კაცი იყო ვახტანგ კუხიანიძე, ადამიანი, რომელმაც პირველი შეხვედრისთანავე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე.

კარგად მახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა. ვახტანგი — ახალგაზრდა, დამწყები მწვრთნელი — ქუთაისში ჩამოვიდა და ჩვენს ჭიდაობას დაესწრო. დარბაზიდან რომ გავდიოდით, მხარზე დამადო ხელი და მითხრა: გატყობ, ძალა გერჩის, არ მიატოვო ეს საქმე, შენგან კარგი მოჭიდავე დადგებაო. მერე თავის ჯგუფში ვარჯიში შემომთავაზა, თბილისში მიმიწვია. რა თქმა უნდა, დავთანხმდი... მე ყოველთვის მეამაყებოდა, რომ ვახტანგ კუხიანიძის ერთ-ერთი პირველი მოწაფე ვიყავი. ის ჭიდაობასაც გვასწავლიდა და კაცურკაცობის გაკვეთილებსაც გვიტარებდა, მეგობარივით ახლობელი და მშობელივით მზრუნველი იყო.

ვახტანგმა ბევრი ნიჭიერი ფალავანი აღუზარდა საქართველოს. მწვრთნელიც იყო და ჭიდაობის დაუღალავი პოპულარიზატორიც. საოცარი ენერგიითა და ენთუზიაზმით უძღვებოდა თავის საქმეს, ამავე დროს ნამდვილი პროფესიონალი გახლდათ, ისეთი სპეციალისტი, მთელი საჭიდაო სამყარო რომ პატივს სცემდა და აფასებდა. ვახტანგი იშვიათი ორგანიზატორული ნიჭით გამოირჩეოდა, მისი მეცადინეობით დიდად ამაღლდა ჭიდაობის ქართული სკოლის ავტორიტეტი. პირდაპირი, პრინციპული კაცი იყო, მის ყოველ სიტყვას ლამის კანონის ძალა ჰქონდა ჩვენთვის.

ვახტანგ კუხიანიძის ცხოვრების გზა საქმის ერთგულების, სპორტისათვის, ჭიდაობისათვის თავდადების ნათელი მაგალითია.

შალვა ჩიხლაძე,
საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, ჰელსინკის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ეს ფოტო გადაღებულია 1962 წლის 16 ოქტომბერს თბილისის სპორტის სასახლეში. შალვა ჩიხლაძეს მაშინ 50 წელი შეუსრულდა და ეს იუბილე რესპუბლიკის სპორტულმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა. იუბილარმა იმ დღეს ბევრი მისალმება და თბილი სიტყვა მოისმინა, მაგრამ ყველაზე ძვირფასი და საამაყო მაინც მისი პირველი მწვრთნელის ვახტანგ კუხიანიძის (ფოტოზე — მარჯვნივ) მილოცვა იყო.

მისი ამაგის საზღაური

ერთბაშად ძნელიც არის თქმა, ვინ იყო ვახტანგ კუხიანიძე, რა იყო ჩვენთვის, საერთოდ, ქართული სპორტისთვის.

ვახტანგი არასდროს გამოჰკიდებია ჯილდოებს და, ბუნებრივია, არც ჰქონია ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონის მედლები, მაგრამ სანაცვლოდ, სანაცვლოდ კი არა, იქნებ სწორედ ამიტომაც — მისი და მისი დარი ადამიანების ჭეშმარიტად საზოგადო, უანგარო საქმიანობით გახდა შესაძლებელი თუნდაც ის, რომ ქართველი კაცის ჭიდაობა მთელ მსოფლიოში რაღაც განსაკუთრებულ, გამორჩეულ ფენომენად იქცა. ვახტანგ კუხიანიძე იყო ის, ვისი მზრუნველობით, თავკაცობით და შეწევნითაც იზრდებოდნენ, ირჩევდნენ იქნებ ერთადერთ სწორ გზას, ვაჟკაცდებოდნენ და მერე დიდი სპორტული გამარჯვებებით ქვეყნიერებას აცნობდნენ თავის ერს.

მარტო ნიჭი და ენერგია ამგვარ საქმეს არ ეყოფოდა. მოთმინება და გაძლების უნარი იყო ამისათვის საჭირო; სხვისი სატკივრის საკუთრად ქცევა იყო საჭირო; სიყვარული იყო საჭირო — ადამიანებისადმი, საქმისადმი; უბრალოება, თავმდაბლობა, საზოგადოს საკუთარზე მაღლა დაყენების იშვიათი თვისება იყო საჭირო...

ვინც ვახტანგ კუხიანიძის მართლაც მრავალფეროვანი, ძალზე საინტერესო ცხოვრების თუნდ ის ერთი დეტალი მაინც იცის, როგორ დაბრუნდა ომიდან მოყინული ფეხის თითებით, როგორი გამწარებით ვარჯიშობდა 30 წლის კაცი, როგორ გახდა საქართველოს ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში და არც საკავშირო ასპარეზზე შეურცხვენია თავი, ირწმუნებს კიდეც, რომ მწვრთნელის, სპორტსმენისა და მოქალაქის ყველა აუცილებელი თვისება მართლაც უხვად ჰქონდა მომადლებული ამ კაცს.

მერე ხომ ჩვენი, ქართველი მოჭიდავეების პატრონად იქცა. საკმარისი იყო ვინმეს რამე გასჭირვებოდა — ვახტანგი მასთან გაჩნდებოდა, მხარში ამოუდგებოდა.

ასეთი იყო და ამიტომაც ჩააბარეს საბჭოთა კავშირის ნაკრები. და მერე როდის! 1952 წელს ხომ ჩვენ პირველად ვმონაწილეობდით ოლიმპიურ თამაშებში!

უთუოდ იცოდნენ, ვისაც ანდობდნენ ამ რთულ საქმეს და არც შემცდარან — საბჭოთა კავშირის ნაკრები თავისუფალი სტილით ჭიდაობაში პირველი იყო ოლიმპიადაზე, არსენ მეკოკიშვილი და მე ოლიმპიური ჩემპიონები გავხდით. ჩვენი მხრიდან ეს მისი ამაგის ერთობ მცირე საზღაური იყო. დღეიდან კი ამ დიდი კაცისა და მამულიშვილის, მისი საქმეების ხსოვნა და დაფასება იქნება ჩვენი მადლიერების ერთობ მოკრძალებული გამოხატულება.

დავით ციმაკურიძე,
ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

ინფორმაცია

ლისაბონი. ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნურ კროსში, რომელშიც 52 ქვეყნის უძლიერესი ათლეტები მონაწილეობდნენ. ოქროს მედალი, ზედიზედ მესამედ, 38 წლის პორტუგალიელმა სტაიერმა კარლუშ ლოპეშმა მოიპოვა. 12-კილომეტრიანი დისტანციის გავლას მან 33.33,0 მოანდომა. მეორე ადგილზე გავიდა პოლ კიპკემი (კენია) —33.37,0, მესამეზე—ვოდაიო ბულტი (ეთიოპია) — 33.38,0. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო შედეგი ვიქტორ ჩუმაკოვს (ბრესტი) ჰქონდა — 34.08,0 (XV ადგილი).

ბუქარესტი. ექვსი ქვეყნის მოფარიკავე ქალთა საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა (მარინა სობოლევა, ლიუდმილა მოროზოვა, ანა დმიტრენკო, ოლგა კისლიაკოვა, ირინა ზელინოვა). პირად ჩათვლაშიც უძლიერესი საბჭოთა მოფარიკავე ლიუდმილა მოროზოვა იყო.

ბუდაპეშტი. გაიმართა სსრ კავშირისა და უნგრეთის წყალბურთელთა ამხანაგური შეხვედრა. გამარჯვება სტუმრებს დარჩათ —11:4 (4:2, 5:0, 1:1, 1:1). სტუმართა შორის ყველაზე შედეგიანი წყალბურთელები იყვნენ გიორგი მშვენიერაძე და სერგეი მარკოჩი (2-2 გოლი).

სვერდლოვსკი. დამთავრდა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ფინალური ტური. 51 ქულით ჯერჯერობით პირველ ადგილზეა ნოვოსიბირსკის „დინამო". ცსკა-ს 49 ქულა აქვს, რიგის ტტტ-ს —48, მინსკის „ჰორიზონტს" — 44, სვერდლოვსკის „ურალმაშს" —40, ლენინგრადის „სპარტაკს" — 39.

ლენინგრადი. დამთავრდა უმაღლესი ლიგის ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. ოქროს მედლები მოსკოვის არმიელებს ხვდათ — 19 ქულა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: „დინამო" (მოსკოვის ოლქი) — 15 ქულა, „ავტომობილისტი" (ლენინგრადი) — 13, „რადიოტექნიკი" (რიგა) — 13, „დოროჟნიკი" (ალმა-ათა) — 10, „პოლიტექნიკი" (ოდესა) — 7.

ზაპოროჟიე. ხელბურთელთა ევროპის თასის ნახევარფინალში ადგილობრივი ინდუსტრიული ინსტიტუტის სპორტსმენებმა ალიკანტეს (ესპანეთი) კლუბს ბმ „ტეკნიკას" უმასპინძლეს. საბჭოთა ხელბურთელებმა გაიმარჯვეს — 27:16 (15:10). საპასუხო მატჩი 11 მარტს ესპანეთში გაიმართება.

მოსკოვი. აქ გაიმართა სსრ კავშირისა და გფრ-ის ხმლით მოფარიკავეთა ამხანაგური შეჯიბრება. პირად ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვა 20 წლის კიეველმა სტუდენტმა, მსოფლიო ჩემპიონმა იუნიორთა შორის სერგეი კრავჩუკმა.

მკითხველი — გაზეთი

პატივცემულო რედაქცია! გვინდა ვიცოდეთ როდის ჩატარდა პირველი საკავშირო ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში და ქართველ სპორტსმენთაგან ვინ მონაწილეობდა ამ შეჯიბრებაში.

— პირველი საკავშირო ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში ჩატარდა 1924 წლის 25-30 დეკემბერს კიევში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო სამი მოკავშირე რესპუბლიკის — რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ბელორუსიის ორმოცდაერთმა მოჭიდავემ. საქართველოს წარმომადგენლები აქ არ გამოსულან. ჩემპიონის ტიტული გათამაშდა ხუთ წონაში. ექვსდღიანი ბრძოლის შემდეგ პირველი ადგილები დაიკავეს: მჩატე წონაში — ქელნინმა (ლენინგრადი), მსუბუქში — ფესენკომ, საშუალოში — მახნიცკიმ, ქვემძიმეში — რაჟკომ (ორივე — კიევი), მძიმეში — გორინმა (კრასნოდარი).

48 საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

როცა ბოლომდე იბრძვი...

„ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 2:2 (0:1).

ვილნიუსი. „ჟალგირისის“ სტადიონი. 24 მარტი.

7000 მაყურებელი.

„ჟალგირისი“: იურკუსი, ტურსკისი, ბარანაუსკასი, მაჟეიკისი, პანკრატიევი, ტაუტკუსი, ნარბეკოვასი, კრასავცევი, იაკუბაუსკასი, მალკიავიჩუსი, ლევენდრაუსკასი.

„ტორპედო“: ქანთარია, ფრუიძე, კუდინოვი, ჰელიძე, შევცოვი, ჯოხაძე, კორლალიძე, კერესელიძე, მეგრელაძე, შენგელია, კვერნაძე.

46-ე წთ. კრასავცევის ნაცვლად — რასიუკასი, 78-ე წთ. ნარბეკოვასის ნაცვლად — ტამულიავიჩუსი;
84-წთ. კვერნაძის ნაცვლად — ხაგბა.
მსაჯი იური სავჩენკო (მოსკოვი).
გააფრთხილეს: ტურსკისი, კორლალიძე.

ვილნიუსის „ჟალგირისი“ წინა ტურში შინ დამარცხდა თბილისის „დინამოსთან“ და დაკარგულის ანაზღაურებას ცხადია, ქუთაისის „ტორპედოსთან“ მატჩში შეეცდებოდა. ეს კარგად იცოდნენ ქუთაისელმა ფეხბურთელებმა და ამიტომ თავიდანვე არ მისცეს მეტოქეს თავისუფლად მოქმედების საშუალება, პირველ ტაიმში მათ ტაქტიკურად ისე ააწყვეს თამაში, რომ თვითონვე გახდნენ მდგომარეობის ბატონ-პატრონნი. „ტორპედო“ მთელი ტაიმი უტევდა, „ჟალგირისს“ კი ისღა დარჩენოდა, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე მეტი ეფიქრა, ვიდრე — დასაწყისშივე გაშვებული გოლის გაქვითვაზე.

ქუთაისელებმა პირველი გოლი ასეთ სიტუაციაში გაიტანეს: მეთოთხე წუთზე მარჯვენა ფრთიდან კვერნაძემ მოაწოდა საჯარიმო და კორლალიძემ ყველას დაასწრო — თავით ზუსტად დაარტყა — 1:0.

...მინსკის „დინამოსთან“ ქუთაისში ჩატარებულ შეხვედრაშიც გამოჩნდა და ვილნიუსშიაც დადასტურდა, რომ დონეცკის „შახტიორთან“ დიდი ანგარიშით დამარცხების შემდეგ ტორპედოელებმა სწორი დასკვნები გააკეთეს. კერძოდ, პირველი მატჩის შემდეგ მთლიანად გადაახალისეს დაცვის ხაზი. თავის ადგილზე მხოლოდ ფრუიძე დარჩა, დაცვის ცენტრში ადგილები შევცოვმა და ჰელიძემ დაიკავეს. ერთ-ერთი განაპირა მცველის ფუნქციებს კუდინოვი ასრულებდა.

აღსანიშნავია, რომ თითოეული მათგანი, გარდა იმისა, რომ კარგად ართმევს თავს მოვალეობას, იერიშებშიც ერთვებიან და გოლებიც კი გააქვთ, ხშირად ქმნიან საგოლე მომენტებს. ვიმეორებთ, პირველი ტაიმი ქუთაისელთა საგრძნობი უპირატესობით მიმდინარეობდა, მათ დამსახურებულად მოიგეს კიდეც იგი, თუმცა, ანგარიში მეტიც შეიძლებოდა ყოფილიყო: ჯერ შევცოვის ძლიერი საჯარიმო დარტყმა აიღო იურკუსმა, შემდეგ ჯოხაძემ ჩააწოდა სახიფათოდ და კორლალიძემ ვერ შეძლო კარში დარტყმა. 27-ე წუთზე გარღვევაზე გავიდა მეგრელაძე და ისევ იურკუსმა იმარჯვა.

მატჩის პირველ ნახევარში ვილნიუსელებს მხოლოდ ერთხელ მიეცათ გოლის გატანის რეალური შანსი. კერძოდ, 28-ე წუთზე, კარის წინ სახიფათოდ ჩააწოდა კრასავცევმა და ლევენდრაუსკასმა ვერ შეძლო ბურთისათვის მიმართულების შეცვლა.

მეორე ტაიმი, როგორც მოსალოდნელი იყო, ვილნიუსელებმა გაცილებით აქტიურად ჩაატარეს. „ტორპედო“ 75-ე წუთამდე წარმატებით იგერიებდა მეტოქის შეტევებს. ამ წუთიდან კი მოვლენები ასე განვითარდა: იაკუბაუსკასმა, რომელიც განსაკუთრებით გამოირჩეოდა ვილნიუსელთა შორის, მარცხენა ფრთიდან სახიფათოდ ჩააწოდა საჯარიმო ქუთაისელთა კართან და რასიუკასმა ახლო მანძილიდან გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

ამის შემდეგ, „ჟალგირისი“ კიდევ უფრო გააქტიურდა და გადამწყვეტ იერიშზეც გადავიდა. 86-ე წუთზე კარის წინ სახიფათოდ გაიჭრა მალკიავიჩუსი, იგი წააქციეს და მსაჯმა „ტორპედოს“ კარში 11-მეტრიანი დანიშნა. იაკუბაუსკასმა ძლიერი დარტყმით დააწინაურა თავისიანები — 2:1.

მინდორზე მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა, იმატა უხეშობამ, რის გამოც მსაჯმა ყვითელი ბარათები „ჩამოურიგა“ კორლალიძეს და ტურსკისს.

ბოლო წუთებზე „ტორპედოელები“ გადამწყვეტ იერიშზე გადავიდნენ. მატჩის დამთავრებას წამებიღა აკლდა როცა კუდინოვი სახიფათოდ გაიჭრა მარჯვენა ფრთაზე, მაღალი ბურთი ჩაჰკიდა მეტოქის კარის წინ, ჰელიძემ მაღალ ნახტომში თავით ოსტატურად, ძლიერად დაარტყა, ზედა ძელიდან ახლეტილი ბურთი კარის ხაზზე დაეცა, საიდანაც იგი ხაგბამ კარში გაიტანა — 2:2.

ქუთაისელებმა მეტად საჭირო ქულა წამოიღეს ვილნიუსიდან. ამასთან აღვნიშნავთ: საიმედოდ თამაშობდა ქანთარია, მცველებს აქტიურად ეხმარებოდნენ ნახევარმცველები და პირიქით, თავდასხმაში ხშირად ნახავდით დაცვის ხაზის მოთამაშეებს, მეორე გოლიც მათი უშუალო მონაწილეობით გავიდა; ძლიერად, ჩვეული შემართებით თამაშობდა გუნდის კაპიტანი კვერნაძე, რომლის ყოველი შეტევა ხიფათს უქმნიდა მეტოქის კარს.

ერთი სიტყვით, „ტორპედომ“ ტაქტიკურად გამართულად, ენერგიულად ითამაშა და სავსებით დამსახურებულად აიღო ქულა.

ბეჟან ნამიჭეიშვილი.
„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი.

ვილნიუსი — თბილისი.

სხვა მატჩები:

24 და 25 მარტს გაიმართა სსრ კავშირის 48-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული შეხვედრები:

„მეტალისტი“ — „ტორპედო“ მ. 1:0

ასკ რ. — „არარატი“ 0:1

„ფაკელი“ — „ნეფთჩი“ 1:0

„ქაირათი“ — „შახტიორი“ 2:1

„დინამო“ მ. — „ჩერნომორეცი“ 3:1

ფეხბურთი

საქართველოს პირველობა

23 მარტს დაიწყო საქართველოს 1985 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში. როგორც ვიუწყებოდით, გათამაშება უნდა დაწყებულიყო 16 მარტს, მაგრამ უამინდობის გამო სასტარტო ტურად 23 და 24 მარტის თამაშები იქცა.

გთავაზობთ პირველი მატჩების შედეგებს:

აღმოსავლეთი ზონა

„ქართლი“ (გორის რაიონი) — „ჰერეთი (ლაგოდეხი) 3:2, „არაგვი“ (დუშეთი) — „ივერია“ (ხაშური) 0:0, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „არმაზი“ (მცხეთა) 2:0, „კახეთი“ (თელავი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1:0, „იმედი“ (თბილისი) — „ავტომობილისტი“ (თბილისი) 0:2, „დურუჯი“ (ყვარელი) — „შევარდენი“ (თბილისი) 2:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 2:1.

დასავლეთი ზონა

„კოლხეთი“ (ხობი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:0, „დინამო“ (ზუგდიდი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 0:0, „სქური“ (წალენჯიხა) — „მზიური“ (გალი) 3:1, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „დინამო“ (გაგრა) 1:0, „ეგრისი“ (ცხაკაია) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 2:0, „იმერეთი“ (ქუთაისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:0, „სულორი“ (ვანი) — „მადრევანი-83“ (წყალტუბო) 1:3.

პირველი მატჩები, პირველი შთაბეჭდილებები

23 მარტს სტარტი მიეცა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატს. პირველი მატჩების შესახებ ჩვენს მკითხველებს ესაუბრებიან საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში გამართულ საფეხბურთო შეჯიბრებათა უშუალო მონაწილენი — მატჩების ინსპექტორები, მსაჯები, ფეხბურთის სპეციალისტები.

გიორგი ანთაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი

რუსთავისა და თელავის გუნდები შარშან ერთმანეთის უშუალო მეტოქეები იყვნენ აღმოსავლეთ ზონაში გამარჯვებულის სახელისათვის ბრძოლაში. ახლა ისინი ერთმანეთს სწორედ სასტარტო მატჩში შეხვდნენ.

თამაში მეტად საინტერესო, დაძაბული იყო და „მეტალურგის“ ფეხბურთელებს მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ კარში დარტყმისას, ჩემი აზრით, აუცილებლად გაიმარჯვებდნენ. მაგრამ ეს არ მოხდა. სამაგიეროდ, მასპინძლებმა კარგად გამოიყენეს საჯარიმო და გაიმარჯვეს — 1:0.

თელაველთა მასპინძლობა სანაქებო იყო: სტადიონზე სრული წესრიგი სუფევდა, თვით მატჩის დროსაც არ მომხდარა უდისციპლინობა, არბიტრმა უ. ფურცელაძემ და მისმა თანაშემწეებმა შესანიშნავად გაართვეს თავი რთულ თამაშს.

კარლო ყრუაშვილი,
საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი

დუშეთში გამართული მატჩის არბიტრის თბილისელი ა. კოკაიას მისამართით პრეტენზიები არ ჰქონდათ არც თვით მონაწილე გუნდებს („არაგვი“ — „ივერია“), არც ინსპექტორებს. ხაშურელი ფეხბურთელები ხაჩიძე და კურტანიძე შეეცადნენ უკმაყოფილება გამოეთქვათ კოკაიას სწორ გადაწყვეტილებათა გამო, შეეკამათნენ მას, მაგრამ მსაჯმა ორივე ფეხბურთელი სწრაფად „გონს მოიყვანა“ და ყვითელი ბარათით დასაჯა ისინი.

პრეტენზიები გვაქვს დუშელ სპორტის მესვეურთა მიმართ: არ აღმართულა გათამაშების დროშა, ჰიმნიც არ შეუსრულებიათ. სტადიონი ჯერ კიდევ რეკონსტრუქციის პერიოდშია, გასაკეთებელი ჯერ ბევრი რამაა (აშენებენ მსაჯთა და ფეხბურთელთა გასახდელებს, სხვა დამხმარე ოთახებს). იმედი გვაქვს, დუშეთის სტადიონი უმოკლეს ხანში ნორმალურ სახეს მიიღებს. ისე კი, წესრიგი ტრიბუნებზე არც ერთხელ არ დარღვეულა.

ილია ბოთორაძე,
საკავშირო კატეგორიის საპატიო მსაჯი

ხობის ხელმძღვანელმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა ჩემპიონატის სასტარტო დღე საზეიმო ყოფილიყო სტადიონზე მოსული მაყურებლებისთვისაც და ფეხბურთელებისთვისაც. ბაზა შესანიშნავად იყო მოწყობილი, ჩემპიონატის გახსნა და დროშის აღმართვა სადღესასწაულო ვითარებაში მოხდა. ხობის „კოლხეთი“ ამ დღეს ჩხოროწყუს „სამეგრელოს“ ეთამაშებოდა და გაიმარჯვა კიდეც — 2:0. თბილისელმა მსაჯმა შ. ხანიაშვილმა, მისმა დამხმარეებმა გ. გაბისკირიამ (გაგრა) და ი. კანდელაკმა (თბილისი), ორივე გუნდის მადლობა დაიმსახურეს.

24 მარტს, ვანში დავესწარი მატჩს ადგილობრივ „სულორსა“ და წყალტუბოს „მადრევანს“ შორის. უშუალოდ თამაშისა და მსაჯობის მიმართ პრეტენზია არც ერთ მხარეს არა ჰქონია, მაგრამ ვანელთა გუნდის ხელმძღვანელობამ საჩივარი დაწერა იმ მოტივით, რომ წყალტუბოს გუნდში ოთხი ფეხბურთელი ადგილობრივი მაცხოვრებელი არ არის.

ანზორ აბულაშვილი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი

გორის „ქართლის“ ფეხბურთელები ლაგოდეხის „ჰერეთს“ თავიანთ სტადიონზე შეხვდნენ, რომელიც გორიდან 5 კილომეტრის მოშორებითაა. აი, ამ სოფლის სტადიონზე ყველაფერი წესრიგში იყო, აღიმართა გათამაშების დროშა, შესრულდა ჰიმნი. თბილისელმა არბიტრმა თ. ლაცაბიძემ და მისმა დამხმარეებმა ვერულაშვილმა და რეხვიაშვილმა კარგად გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას. გარდა ამისა, სტადიონზე იყვნენ შინაგან საქმეთა ორგანოების წარმომადგენლებიც, სახალხო რაზმელებიც, გორის რაიონის სპორტის მესვეურებიც. ერთი სიტყვით, ამ მატჩში ყველაფერი რიგზე იყო.

იუზა კანდელაკი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი

ცხაკაიას შესანიშნავი სპორტული ბაზა აქვს. ადგილობრივი „ეგრისისა“ და ჭიათურის „მაღაროელის“ მატჩზე, წვიმიანი ამინდის მიუხედავად, მაყურებელი მრავლად მოვიდა, სტადიონი კარგად მოემზადა ამ დიდი შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩასატარებლად. წესრიგი არავის დაურღვევია, საზეიმო გახსნაც მეტად საინტერესო გახლდათ.

ვმსაჯობდი მე, ხოლო მატჩის ინსპექტორი იყო რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი არდევან ნიკოლეიშვილი. ორივემ ერთხმად აღვნიშნეთ: საქართველოს პირველობის მატჩები ყველგან ასეთ მაღალ დონეზე რომ იმართებოდეს, ჩვენი ჩემპიონატი სანიმუშო იქნებოდა.

* * *

როგორც ხედავთ, საქართველოს ჩემპიონატის სტარტი კარგად ჩატარდა, ეს კი იმედს გვაძლევს, რომ წესრიგის დამრღვევთ შემდგომშიც არ მივცემთ ნებას დასვენება გაუმწარონ თამაშზე მოსულ მაყურებლებს. მაგრამ მცირეოდენი ჩრდილი სასტარტო ტურს მაინც მიადგა: რამდენიმე ფეხბურთელი გააფრთხილეს, საჩივარიც დაიწერა, ხოლო თბილისში უამინდობის გამო თამაში „ლოკომოტივის“ სტადიონის სათადარიგო მინდორზე შედგა. რა თქმა უნდა, ასეთ ამინდში ძირითადი მინდვრის დაზიანება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ვინაიდან აქ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მატჩები იმართება ხოლმე. მაგრამ ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ბოლნისის „მადნეულის“ შეხვედრის წინ არც დროშა აღმართულა, არც ჰიმნი მოუსმენია ვინმეს და თვით სათამაშო მინდორიც მხოლოდ ბოლო წუთებში მოამზადა სასპარეზოდ.

ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში მკითხველებს შევთავაზებთ ჩემპიონატის სტატისტიკურ მონაცემებს.

MEXICO86

მსოფლიო ჩემპიონატი

შესარჩევი ციკლი

მიმდინარეობს ფეხბურთში მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები.

აზიის კონტინენტზე, სადაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის 2 საგზური უნდა გათამაშდეს, საკვალიფიკაციო შეხვედრები დამთავრდა ასეთი შედეგებით: იორდანია — კატარი 1:0, ერაყი — ლიბანი — 6:0, იაპონია — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა 1:0.

სამხრეთ ამერიკის ზონაში ჩილისა და ეკვადორის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ჩილელთა გამარჯვებით — 6:2.

„სპორტლოტო“

გუშინწინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, მეთორმეტე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49“-დან: 10 (წყალბურთი), 20 (აფროსნობა), 22 (წყალში ხტომა), 30 (ძალოსნობა), 32 (ფიგურული ციგურაობა), 48 (ჭადრაკი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 4 (კრივი), 8 (ტრეკზე ველორბოლა), 13 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 19 (სათხილამურო რბოლები), 36 (საავიაციო სპორტი).



ცენტრალური ტელევიზია. **26 მარტი.** დილის ტანვარჯიში — **9.00** (2); საჭადრაკო სკოლა — **11.25** (2); სპორტი კვირის განმავლობაში — **21.30** (2).

საკავშირო რადიო. 26 მარტი. ტანვარჯიში — **6.15** და **7.15**; საწარმოო ტანვარჯიში — **12.00**.

ფეხბურთი

გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები

ოჩამჩირეში, საქართველოს პროფსაბჭოს სპორტულ ბაზაზე, გრძელდება ვიტალი დარასელიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირი. გუშინ პირველობისთვის მებრძოლთა რიცხვი განახევრდა — გამოვლინდნენ ნახევარფინალის მონაწილენი.

II ქვეჯგუფში წარმატებით იასპარეზა საქართველოს ნაკრებმა, რომელმაც მეორე ტურში სძლია აზერბაიჯანელ თანატოლებს — 3:0 (გოლები გაიტანეს ბეკოევმა, იაკოვლევმა და ნოზაძემ), ხოლო გუშინ მოსკოვის ძლიერი გუნდი დაამარცხა — 2:1 (გამარჯვებულთაგან თავი გამოიჩინეს ნოზაძემ და ბეკოევმა). ნახევარფინალში ჩვენი ჭაბუკები შეხვდებიან სომხეთის ნაკრებს. სომეხმა ფეხბურთელებმა თავიანთ ქვეჯგუფში II ადგილი დაიკავეს — მეორე ტურში წააგეს უკრაინელებთან (0:1), ხოლო მესამეში სძლიეს თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდს — 2:1.

მეორე ნახევარფინალური წყვილი: უკრაინა — მოსკოვი. ნახევარფინალები გაიმართება ხვალ, 27 მარტს, ფინალური შეხვედრა კი 29 მარტს შედგება.

აქვე გაგაცნობთ II და III ტურის დანარჩენ შეხვედრათა შედეგებს: მოსკოვი — ყირგიზეთი 1:0, 35-ე სკოლა — ბელორუსია 0:1, უკრაინა — ბელორუსია 1:1, ყირგიზეთი — აზერბაიჯანი — 1:0.

რედაქტორი ა. ბოგველია.

ИНДЕКС 69485 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა 380096, თბილისი-96 [illegible] ქ. № 14. [illegible]